№ 119. 23 ივნისი, ხუთშაბათი. 1866—1883 23 ივნისი, ხუთშაბათი. № 119.


რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

| | |
|---|---|
| მთელის წლისა. . 9 მ. | სამის თვისა. . . 3 მ. |
| ექვსის თვისა . . . 5 მ. | ერთის თვისა. . . 1 მ. |


# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.


ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით—ასოზე ერთი კაპეიკი, ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი—ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე რვა კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შაური


მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზედ“

ნახევარ წლით პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდე. ფასი ხუთი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის ოთხი მანათი.

ივნისის პირველის რიცხვების ნომრები რედაქციაში აღარ არის.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი.»)

სარატოვი, 20 ივნისს. გალიების გასაწყვეტათ ცარიცინშია გაგზავნილი ერთი ბატალიონი ჯარი. კამიშინის მაზრაში კალია მთლად გასწყვიტეს. ცარიცინის მაზრაში ჯერ კიდევ კალიაა.

პარიჟი, საფრანგეთის მირთეობა პაპის სამდურავზედ, რომ ზოგიერთს ბერების ორდენებს ავიწროებთო, უპასუხებს კლერიკალების წინააღმდეგი მოძრაობა დიდიაო და თითონ კათოლიკებმა თავიანთი მოქმედებით გადაიმტერეს ყველაო.

ბერლინი. პრუსიის სეიმის სესია გათავდა. აკრძალეს რუსეთიდამ საქონლის შემორეკა. ფრინველები კი შეიძლება.

ალექსანდრია. დალმიეტში ხოლერისაგან მოკვდა გუშინ 141 კაცი, მანსურში 14 კაცი.

პეტერბურღი, შესტაკოვის მაგიერ, რომელიც სამსახურიდამ დაეთხოვა, კაზანის მაზრის სასწავლებლების მზრუნველად დანიშნულია მასლენიკოვი.

სახელმწიფო ბანკში იყიდება ვერცხლის მანეთები, რომელიც მოსჭრეს ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევის სახსოვრად.

გუშინ ნიკოლაევის რკინის გზის სტანცია რიაზოვსთან ორი მატარებელი დასჯახებია ერთმანეთს და ერთი ბარგის ვაგონი დამტვრეულა.

თბილისი, 22 ივნისს.

დიდი ხანია, რაც ინგლისის გამოჩენილმა ისტორიკოსმა ბოკლმა, ისტორიულ ფაქტებით შეჭურვილმა, ცხადად დაამტკიცა, რომ საზოგადოების და კაცობრიობის წარმატება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოების წევრთ თითონ იგრძნეს საჭიროება ამ წარმატებისაო. ბრმებისათვისაც კი თვალსაჩინოდ განამარტა, რომ არას დროს, არც ერთ საზოგადოებაში წეს-წყობილების მფარველთ ჩარევას საზოგადო საქმეებში სარგებლობა არა მოუტანიარა და თითონ საზოგადოებას უკეთ შეუძლიან თავის საქმეების გარჩევაც და წარმოებაცაო.

დიაღ, ეს აშკარად დამტკიცდა და ყოვლად-ბრმა უნდა იყოს ის საზოგადო მოღვაწეობაში ფეხ-ჩადგმული პირი, რომელიც დღესაც კი იმ აზრს ადგას, ვითომ ჩვენ არ შეგვეძლოს ჩვენის საქმეების რიგიანად წაყვანა!

ჩვენდა სამწუხაროდ, ამისთანა პირნი არიან და სიტყვით და საქმით მოქმედობენ კიდეც. არ შეიცით რას უფრო აქარებენ ეს პირნი, რომელი ნაკლულევანება უფრო თავის ღირსად მიაჩნიათ, მაგრამ ჩვენის აზრით ან ერთი უნდა სჭირდეთ, ან მეორე: ან მართლა და ყოვლად ბრმანი უნდა იყვნენ, რომ თეთრი შავისაგან ვერ გაარჩიონ, ან პირადის მტრობისა და შურისაგან ისე დაბრმავებულნი, რომ აღარა ზოგავდენ არავითარს საზოგადო საქმეს, ოღონდ თავიანთ მოწინაამდეგეთ ორმო გამოუთხარონ, შიგ ჩაჰყარონ და თუნდ საზოგადო საქმეც თან ჩაატანონ.

ყოველივე ეს გვათქმევინა ჩვენ ზოგიერთა პირთა მოქმედებამ, რომელნიც ქუთაისის ბანკის კრებების დროს და მას უკანაც არაფერს ზოგავდენ, არ უფთხილდებოდენ თვითონ ბანკის არსებობასაც, ოღონდ თავისი გაეყვანათ და მშველელად ვილაც უხილავი და უცნობი რევიზორები მოიწვიათ. თითქო გარეშე პირი ზეციდამ ჩამოფრენილი ანგელოზი იქნებოდა და მეტი ცოდნაც ექნებოდა, მეტი პატიოსნებაც მეტი გულშემატკივრობაც, ვიდრე მთელს კრებას ერთად.

ბოდიშს ვიხდით მკითხველთან, რომ ასე ბევრს ვლაპარაკობთ ქუთაისის ბანკზედ, მაგრამ ამის გამამართლებელი საბუთიცა გვაქვს—ის რომ ზო-

«დროების» ფელეტონი 23 ივნისი.

## კრიტიკული შენიშვნები

«ივერია» წიგნი IV.

ამ წლის დამდეგს, რომ «ივერიის» განცხადება წავიკითხე და იქ ერთს როტა ხალხს, ვითომ მომავალს თანამშრომლებს, გადავავლე თვალი, მაშინვე რაღაც ეჭვი შემომეპარა ჟურნალის რიგიანად წაყვანაზედ და, თუ გახსოვთ, კიდეც გამოვსთქვი ეს ეჭვი. რაღაც ეშმაკად ენამ მიყივლა: ბევრი მგელი ნავნებს ვერა იქს მეთქი და ლამის კიდეც გამართლდეს. «ივერიის» მეოთხე წიგნმა ძალიან დაიგვიანა—აპრილისა მაისის გასულს გამოვიდა—და ყველას იმედი ექნებოდა რაღაც ზორბა და მძიმე რამ გამოვიდოდა, მაგრამ, მაგიერ, ისეთი რაღაც სიფრიფანა წიგნი დაგვიდეს წინ, რომ ქანც მიწყვეტილს, ახლად ლაზარეთიდამ გამოწერილსა ჰგავს. კრიტიკული მიმომხილველი ამაოდ დაუწყებს ფურცვლას ამ სიფრიფანა ნომერს და მშიერს თვალებს მეტის ცეცხლით დაჰლალავს. რაც უნდა კარგი მომკალი იყო, ამისთანა ყანაში ერთის გამოკვრით ხელეურს ვერ გამოიღებ და მომცდარის ყანის მომკალივით, მეტი გზა არ არის, თითო ღერს დაობლებულ თავ-თავებს უნდა გამოუდგე. ერთის სიტყვით, მოხოხნა და მომცეხევა, აი რა ჰხვდება წილად ვინც ამ ნომრის განხილვას შეუდგება!

ბ-ნი მოჩხუბარიძის დრამას: «წამება ქეთევან დედოფლისა» უნდა ამ ჟამად გვერდი ჩავუაროთ და «გამარჯვება შენის!» მეტს ვერაფერს ვეტყვით, რადგანაც ჯერ მხოლოდ ამ ნომერში ორი მოქმედებაა დაბეჭდილი და მინამ სრულად არ დაიბეჭდება, კრიტიკა ვერას იტყვის. აგრეთვე ვერაფერს ვიტყვით ნათარგმნ მოთხრობაზედ: «წერილები ლორენცო ბენონისა» იმის მეტს, რომ ტურგენევის «თავზედ ხელ-აღებულისთანა» მოთხრობების თარგმანს, ამისთანა მოთხრობებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. დარჩა მაშ ორი ლექსი ზ. რ. ერისთავისა: «სათიბი და ბერუას ჩაფიქრება“. შესანიშნავს მოვლენას წარმოადგენს ჩვენს ლიტერაში თ. რ. ერისთავი. შესანიშნავია მით, რომ თითქოს არ ემორჩილება იმ საზოგადო კანონს, რომელიც ყველგან ერთ ნაირად მოქმედებს. ეს კანონიც იმაში მდგომარეობს, რომ რამდენიც კაცი (იგულისხმე მწერალი) ხანში შედის, იმდენი ნიჭს ძალა უმცირდება: ტვინი თითქოს ფუტუროვდება და გრძნობები ჩლუნგდება. რუსეთში ეხლა რამდენიმე მწერალია, რომელთა კალმის წვერიდანაც ჩამოსხმულა რამდენიმე სამაგალითო და უკვდავი თხზულება, მაგრამ დიდი ხანია თევზივით გაჩუმებულან და მათი ხმა ლიტერატურაში აღარ ისმის. ტურგენიევსაც, რომ თავისი უკანასკნელი ქმნილებანი: «სიმღერა ძლევა-მოსილის სიყვარულისა, თავზედ ხელ-აღებული და ლექსები პროზით» არ დაებეჭდა, იმის სახელს არა მოაკლდებოდა-რა. მართალია რუსეთის კრიტიკოსები სიხარულის კიჟინით მიეგებნენ, მაგრამ მათ ხმაში სიყალბე და ფარისევლური პირფერობა ისმოდა. გონჩაროვმაც, დიდის ხნის სიჩუმის, შემდეგ დაბეჭდა «სალიტერატურო სალამო», რომელსაც დიდი ნაშრომობა და გამოცდილის ოსტატის დახელოვნებული მარჯვენა ეტყობოდა, მაგრამ ვინც წაიკითხა, ყველას პირზედ ადგებოდა: დიდი ხანია, ჩემო ბატონო, შენი კალმი გათავებულა და ტიტველაზედ კვერის ხეთქება ტყუილი შრომააო!» პირზედ ადგათ-მეთქი, მოგახსენებთ, თუმცა ხათრით პირში თქმა ვერავინ გაუბედა. მხოლოდ ერთად ერთი შჩედრინია (სალტიკოვი) რუსეთში, რომელიც ჩვენის რაფიელისავით რამდენიც ხანში შედის, იმდენი უფრო ძალა ემატება და მწერლობის ნიჭი, თუ განზე არა, ღრმად იწევს...

თ. რ. ერისთავის ხანში შესული მწერალი, ნამეტნავად პოეტი, ყველაფერს ამღვრეული თვალით უყურებს, მუდამ ბუზღუნებს, წუწუნებს, ყველაფრით უკმაყოფილოა; მაგრამ თვით ერისთავი კი, როგორც ზევით ვსთქვით, ამ კანონს არ ექვემდებარება და ყოველს ახალს ლექსში ქვეყნიერობაზედ ნათელი, ჭაბუკური შეხედულობა და გრძნობების სიახლე ეტყობა. მაშ მისი ჩივილი და სამდურავი თავის მოხუცებზედ, რომელიც გამოთქმულია მისს, სახალხო სიმღერად გამხდარს, „რად შემიყვარებ განა არ ვიცი“-ში, აჩქარებით მოსვლია ჩვენს პოეტს.

ჩვენს წინ გადაშლილს წიგნში ორი პატარა ლექსია დაბეჭდილი თ. რ. ერისთვისა, რომელნიც უდაბნოსავით ცარიელს ჟურნალის ნომერში მწვანე კორდს წარმოგვიდგენენ, რომელზედაც ერთს წუთს მაინც შეისვენებს უფერულ წერილებისგან გულგაწვრილებული მკითხველი. თუმცა პოეტი წინადვე გვეუბნება, რომ სათიბის» აზრი მაიკოვიდამ არის ამოღებულიო, მაგრამ რომ არც კი ეთქვა, არაფერი დანაშაულობა იქნე-

გიერთა ლიხს-იქითელების მოქმედება ბანკის შესახებ ნამდვილი სურათია იმისი, თუ რა შეუძლიან პირადს მტრობას, როგორ აიწყებინებს იგი ადამიანს, რომ კაცი სხვაა და საქმე სხვა, რომ კაცთან თუ მტრობა გაქვს, შურის-ძიებით საქმეც თან არ უნდა მიაყოლო და ორთავ უწყალო ომი არ უნდა გამოუცხადო; რომ, ერთის სიტყვით, შენს პირადს კმაყოფილებას არ უნდა შესწირო ის, რაც არც მარტო შენთვის არის გაჩენილი, არც შენის მოწინააღმდეგისათვის და რომელშიაც ბევრს სხვასაც წილი უდევს.

მკითხველს ეხსომება რომ ქუთაისის ბანკის მოქმედება თითქმის შეჩერებულია და, ვინ იცის, კიდევ რამდენი ხანი იქნება შეჩერებული, თუ ბანკის გამგეობის მოწინააღმდეგეთ იმისთანა უბრალო ლაპარაკი არ დაიშალეს, როგორც მაგალითად «შრომის» უკანასკნელ ნომერში იყო გამოცხადებული ქუთაისის ბანკში რომელიღაც დაგირავებულ და აოხრებულ მამულზედ. ამ ვაჟბატონებმა კარგად იციან, რომ ყოველს ბანკის წინააღმდეგ ნათქვამს სიტყვას სიამოვნებით მოისმენენ ზოგიერთ მაღალ სფერებში, თუნდ ეს სიტყვა ცილისწამებაც იყოს და არც იშლიან ამისთანა სიტყვების სროლას, თუმცა დარწმუნებულნი არიან, რომ ამ გვარმა მოქმედებამ ბანკი უკიდურესობამდე მიიყვანა, მაგრამ თუ ერთი იმედი შეუსრულდათ, ჰგონიათ რომ ქუთაისის ბანკისთვის მაშინ დადგება ნეტარი დრო. ეს იმედი დამყარებულია პეტერბურღიდამ გამოგზავნილ ჩინოვნიკის რევიზიაზედ!

ჩვენ ჩვენი შეხედულობა ამ საგანზედ წინადვე გამოვთქვით და ეხლა, ერთის პეტერბურღულ გაზეთიდამ ამოვწერთ ამავე საგნის შესახებ—რამდენსამე სიტყვას (**Новости, № 70**): «კერძო საზოგადოებისაგან ჩინოვნიკების მოწვევა მათს საქმეში ჩასარევად ჩვენ უსარგებლო საქმედ მიგვაჩნია... რომ აქციონერების მესამედს ან მეოთხედს ნაწილს ჰქონდეს მიცემული უფლება თვის შორის სარევიზიო კომისიის ამორჩევისა ბანკის წიგნებისა და ქონების გასასინჯავად—ეს კიდევ სხვა იქნებოდა—რევიზიას საზოგადობრივი ხასიათი მიეცემოდა... ჩვენი უბედურება ის კი არ არის, რომ რეგლამენტაცია გვაკლია; როდესაც ვლაპარაკობთ იმაზედ, ვითომ ამა-და-ამ საქმეს მეტი მეთვალყურობა ეჭირებოდეს, ამითი სრულებით იმას არ ვამტკიცებთ, რომ წარმატება დაგვტყობოდეს; ამით მხოლოდ ისევ ძველს საშუალებას ვუბრუნდებით, რომელიც დიდი ხანია გამოვცადეთ, და რომლის უხეირობაცა ვიცანით.»

ჩვენ თუ არ გვიჯერებთ, ამ გაზეთის სიტყვებს მაინც დაუჯერეთ, ეს ხომ პეტერბურღულია!

## ახალი ამბები.

ქუთაისიდგან გვწერენ, რომ ერთი თბილისელი მოდა ჩამოვიდა აქ და მკითხაობით დიდი სახელი დაიგდო, მეტადრე ქუთათურ ებრაელ ქალებშიო. კორესპონდენტი აყვედრის გავლენის-მქონე ებრაელებს,—რომ ხალხს ვიღაცა გადმოვარდნილ სალახანას აყოლებინებენ.

ხაშურიდამ დიდს სამდურავს იწერებიან იქაურ სოფლის მწერალზედ, რომელიც ისე ატრიალებს სოფელს, როგორც უნდა და მამასახლის-მოსამართლეებს ყურ-მოჭრილ ყმად იხდისო. სამწუხაროა, რომ იმ გვარი სოფლის მწერლები, რომლის ნიმუში რუსეთში ხშირია, ჩვენშიაც გაჩენილან.

უმაღლესი მანიფესტი ქართლში რუსულს ენაზედ დაურიგებიათ და ადვილად წარმოსადგენია, რა სცენები მოხდებოდა, როდესაც სოფლის «აბლოკატები» რომელთაც «ულოჟენიე» და «ლოჟნი» და «პრისუდიტ», «პოდ-სუდში მიცემა»,—ერთი ჰქონიათ აუხსნიდენ ხალხს მანიფესტის მნიშვნელობას. მალეც დასტყობია ხალხს ამ «აბლოკატების» გავლენა და ქართლში ხმა გავრცელებულა, ვითომაც მანიფესტში ნათქვამი იყოს, რომ გლეხ-კაცობას მინაზომი მიწა (ნადელი) მუქთად დაურიგდებათო. ეს ცრუ იმედები ხალხში მანიფესტის გამო, რასაკვირველია, არ გავრცელდებოდა, თუ რომ მანიფესტი ქართულად გადაეთარგმნათ და ისე დაერიგებინათ ხალხში.

«თერგში» სწერენ, რომ მუხის ტყეებს ზოგიერთ ადგას სრული გახმობა მოელითო, რადგან პატრონები განს აცლიან და ტყავის ქარხნებში გზავნიან სახმარადაო. ჩვენდა სამწუხაროდ ამ გვარი უგუნური ხმარება ტყისა ჩვენშიაც ძალიან არის გავრცელებული და მეპატრონეებს ავიწყდებათ რომ თავიანთ უმეცრებით, თუ სიხარბით თავის შვილებსა და შვილის-შვილებს საუკეთესო განძს უწყობენ და თავიანთ ქვეყანასაც უანგარიშო ზარალს აძლევენ.

იგივე გაზეთი ამბობს, რომ თერგის მაზრაში ცალკე ეპარქია დაარსებულა და ამასთანავე მოზდოკიდამ სასულიერო სასწავლებელი ვლადიკავკაზში გადმოუტანიათ.

ქართლიდამ გვატყობინებენ ერთს სამწუხარო ამბავსა: ამ რამდენიმე დღის წინად ერთს ბრეთელს გლეხს, რომელსაც ურემზედ თურმე იჯდა და დაჭლიგინებდა, ერთს ღელეში დახვედრია ერთი აკალიშვილთაგანი და ხუთჯერ დაუხლია რევოლვერი; გლეხი იქვე გაციებული თურმე ნახეს; მარჯვენა ხელში მაგრა დაბღუჯული ეჭირა ქვა; სოფელში ამ ქვით ხელში მიეტანათ.

მიზეზი ამ მხეცურის მოკვლისა სულ უბრალო ყოფილა. აღდგომის დღეებში სადღაც დღეობაზედ ჭიდაობის დროს ჩხუბი მოჰსვლიათ და იმ გლეხს ამ აკალიშვილისათვის სილა უკადრებია, მაშინ დაჭმუქრებია და აღთქმა ეხლა შეუსრულებია.

თბილისის მოქალაქეები შემოგვჩივიან, რომ მოქალაქეების გამგეობას (**Мѣщанская управа**) კვლავ ხარჯი ყოველთვის ზაფხულის გასულს მოუკრეფია და ეხლა არ ვიცით, რა მიზეზით,

---

ბოდა: ათს სტრიქონში ისეთი ნამდვილი და ჭეშმარიტი სათიბის სურათია გამოყვანილი.

«აჭყაკვაულა მინდორი,
ლურჯად ბიბინებს სათიბი,
შიგ ღალღა გამოიმახის,
უხდება ჭრელი ქათიბი....
აგერ იელა ცელმაცა
წამოაწვინა მოლია,
თან მოჰყვა ტურფა ღიღილა,
უაყაჩო, თომი ფოლია... და სხვ.

მეორე ლექსი «ბერუას ჩაფიქრება», თუმცა წმინდა პოეზიას არ ეკუთვნის ნებიერის ხელოვნების თვალით, რომ შევხედოთ, მაგრამ, ჩვენის რწმუნებით, ურიგო არ იქნებოდა, რომ ჩვენმა პოეტებმა თავიანთი, მუდამ ჰაერში მფრინავი მუზა ჩვენის ბედშავი ცხოვრების სურათების დასახედავადაც მოიწვიონ ხოლმე დრო-გამოშვებით. პოეტს რვა სტრიქონში გამოუხატავს ყელ გადაგდებულის ბერუას უიმედო ჩაფიქრება, რომელსაც ვერ იქნა ვერ გაუგია:

«ე როგორ არი, ვერ მივხვდი,
როგორი განაჩენია...
მიწა სხვისაა, ვქირაობ,
შრომა კი მარტო ჩემია...»

ამითი თავდება ჟურნალის ბელეტრისტიკა და ეხლა უნდა გადავლახოთ კრიტიკის და პუბლიცისტიკის საზღვარი. ამ ახალის სამეფოს საზღვარზედ დამოქნის მცველივით პირველად თვალებში გვეჩხირება ახალის ლიტერატორის, ბ. ეგ. იოსელიანის წერილი «ქართული ლიტერატურა», რომელსაც, გატეხილს მოგახსენებთ, ბევრი ვუღიღლიტეთ, ბევრ ნაირად აუარ-ჩამოუყარეთ, მაგრამ ვერ მივხვდით ლიტერატურის რომელ ნაწილთანა აქვს ამ წერილს ნათესაობა, ე. ი. პუბლიცისტიკაა, კრიტიკა, თუ უბრალო ნეკროლოგი განსვენებულ პოეტს გრ. ორბელიანზედ.

ბ. ეგ. იოსელიანი თავის წერილში, სხვათა შორის პოეზიასაც გაკვრით ეხება და გადაჭრით ამბობს: ესტეტიკურის მხრით გრ. ორბელიანის ლექსების გარჩევას არ შევუდგებითო, ამიტომ, რომ ესტეტიკური თეორია ჩვენს პოეტებს არ უდგებათო... გარწმუნებთო, ეუბნება თავის მკითხველებს, ამ გვარი შესწავლა პოეზიისა ჩვენის პოეტების სახელს სხივს ვერ მოჰფენსო და სხ... უკაცრავად თქვენთან, ბ. კრიტიკოსო, და ჩვენ კი სულ წინააღმდეგი გვგონია! მე რო დარწმუნებული ვიყო, რომ ჩემს ვექილობას წინააღმდეგობას არავინ გაუწევს, მთელის მკითხველ საზოგადოების მაგიერ ვსთხოვდი ბ. იოსელიანს თავისი ესტეტიკური თეორია დაეზომებინა ჩვენის პოეტებისათვის და მაშინ დავინახავდით როგორ დაადგებოდათ ტანზედ. მაინც ამ წერილის გარჩევას არ შევუდგებით, ამიტომ რომ გასარჩევი არაფერია. ჩვენ გვინდა მხოლოდ საზოგადო აზრი გამოვთქვათ ამ ახალს მწერალზედ, რამდენადაც მისი ორი ლიტერატურული დებიუტი ნებას გვაძლევს. პირველი დებიუტისათვის ბ. იოსელიანმა მეტად ძნელი როლი იკისრა: მოინდომა გამოჩენილის რენანისთვის დაემტკიცებინა—ჰბოძიკობო, მაგრამ იმისი ბოძიკი კი ვერ გვაჩვენა და ის კი ყველას დაგვანახვა, რომ თითონ ტაბუხს იცემს. მეორე წერილი კიდევ პირველზედ უფრო უფერული და უგემურია... ჩვენ ამითი იმისი თქმა არ გვინდა, რომ ბ. იოსელიანი ლიტერატორობისთვის მოუმზადებელი იყოს, განათლება, ან, ცოდნა აკლდეს. პირ-იქით, იოსელიანი თავის ტოლებში კარგად განათლებულიც არის და თითქმის ყველაზედ მეტი ცოდნაცა აქვს შეძენილი, მაგრამ ლიტერატორობისთვის მარტო ცარიელი განათლება და ცოდნა არა კმარა. აი ერთი თვალსაჩინო მაგალითი: დღეს საქართველოში არა ერთი და არა ასი იმისთანა ხელტორიანი გამოვა, რომ ბლდანელისთანას ხუთს ერთად აიკიდებს, მაგრამ იმისთანებმაც კი ვერ წააქციეს, ვისაც ცოცხალი ძროხა და ცხენი ზურგზედ აუკიდნია. მაშასადამე, მოჭიდავისთვის მარტო ცარიელი ღონე საკმარისი არა ყოფილა. ლიტერატორს, დიდს ცოდნას გარდა, ერთი რაღაც სხვა ნაირი ძარღვი უნდა ჰქონდეს, რომლის მოპოებაც არც წაბაძვით და არც დიდის მეცადინეობით შეიძლება. ეს ძარღვი ჩვენ ბ. იოსელიანს ვერ ვუპოვეთ. ან კი რა ახირებაა მაინც და მაინც გალიტერატორება?...

ორ ფურცელზედ მოქცეული წერილი «სკოლა და კამიტეტზედ» პირდა-პირ გადავფურცლოთ და თავი დავუკრათ «შინაურს მიმოხილვას», თუმცა შესაძლებელია დაუპატიჟებელი სტუმრების უეცრივ თავს წადგომა მასპინძელს არაფრად ეჭაშნიკოს. ამ ნომრის «შინაური მიმოხილვა» მთლად უძღვნიათ ბანკის წარსულის ყრილობისათვის. შინაური მიმოხილვა კი არა, ეს გახლავთ ერთის მხრით, ზომას გადაჭარბებული აპოლოგია, ადვოკატური დაცვა ბანკის მმართველობის და ზედამხედველის კამიტეტის ყველა მოქმედებისა და მეორეს მხრით, მკაცრის პროკურორის მგრგვინავი სიტყვა, რომელიც ღვთისა და კაცის რისხვას,—რისხვას ვინა ჩივის?—თითქმის სახრჩობელასა თხოულობს მათთვის, ვინც საზოგადო ყრილობაზედ, ან მის გარეთ ბანკის წარმოების გაგების სურვილი გამოაცხადა. ამისთანა, თავ-დავიწყებამდე, გატაცებული მფარველობა ბანკისა, უბირს მკითხველსაც კი აფიქრებინებს, რომ მიმოხილვის ავტორს რაღაც მოყვრობა, ან ნათელმირონობა უნდა ჰქონდეს ბანკთან, თორემ ეხლანდელ დროში, როდესაც ყველას თავის თავის მეტი არავინ ახსოვს, ვინ გაიცხელებს სხვისთვის და მერე იმისთანა უსულო არ-

უფრო ადრე დაიწყო მოგრევა. ქალაქში უიმისოდაც დიდი ქვსატობაა და ის არ ემჯობინებოდა გამგეობას პატარა დაცლაა და კლასიკინდებურად შემოდგომის პირში შესდგომიყო თავის საქმესაო. თორემ ჯერ დეპუტატებს სიები არ შეუმენიათ და ხარჯს კი გვართმევენო. სხვა რომ არა იყოს-რა ეს წესის დარღვევაც არისო.

⩳ გუშინ ღამის მეთორმეტე საათზედ მოისმა გაცხარებულის ზარების რეკვა. გავიხედეთ და სადღაც, მტკვარ გაღმა, გაჩაღებული ცეცხლის ალი და კორიანტელი ტრიალებდა, თუმცა გუშინ ქარის სიოც არა ქროდა, მაგრამ ისე უეცრივ გაჩაღებული ცეცხლი ამტკიცებდა, რომ ცეცხლის ხელის შემწყობი მასალა იმ სახლში ბევრი ყოფილა. დაიწვა ჩუღურეთში ერთის სომხის სამ სართულიანი მველი სახლი. ზევით ორ სართულში მდგმურები დიდი ხანია რაც აღარა მდგარან, დაბლა თითონ პატრონი მდგარა. ცეცხლის მქრობელი გამანდა მაშინ მიჩანჩალდა, როდესაც ცეცხლ თავისთავადი ჩაიბუგა. სახლი, რასაკვირელია, ცეცხლისგან საზღვეველ საზოგადოებაში ყოფილა შეტანილი.

სალოცარია, თქვენმა მზემ! ეს წყეული ცეცხლიც რაღა სულ «დასტრახულ» სახლებს და საქონელს ეტანება?

⩳ გაზ. «Новое Время» ეხლა სულ ავსტრიელი ჯაშუშების (шпіонъ) ჭერაშია გაბმული. ჯერ იმ დღეს დააჭერინა პოლშაში ერთი ჯაშუში და ახლა მეორე დაუჭერინებია, ვიღაც გუგორიტბერგი.

«დროების» კორესპონდენცია.

—

ახალ-სენაკი, 16 ივნის. ჩვენი სენაკი სულ იმედებით სცხოვრობდა და სცხოვრობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ორი ისეთი საქმე დემართა მას, რომ ეს იმედები სრულიად შეურყია. პირველი საქმე შეეხება სწავლა-განათლება და მეორე კი მარტო სენაკელებს. აი რა საქმე? სენაკს ერთად-ერთი ოთხ კლასიანი სასულიერო სასწავლებელი აქვს მთელის სამეგრელოს სწავლა-განათლების დედაბოძად.

ამ სასწავლებელსა აქვს მოსამზადებელი კლასი, რომელიც შესდგება სამის განყოფილებისაგან თითო განყოფილებაში დღემდის 65—75 მოსწავლე სწავლობდა.

სასულიერო სასწავლებლის წესდების ძალით მოსამზადებელ კლასებში თითოში 50 მოსწავლე უნდა იყოს; სხვა კლასებში კი მხოლოდ ორმოც-ორმოცი. მაგრამ ამ დრომდის მთავრობას ამ წესდებულებისათვის არ მიუქცევია ყურადღება და ამიტომ, როგორც ზევითა ვსთქვი, მომეტებული რიცხვი მოსწავლეთა სწავლობდა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში იმ რიცხვზედ, რომელსაც წესდება მოითხოვდა. ეხლა, უკანასკნელის რევიზორის ბ. მირაპოლსკის და მაღალ-ყოვლად უსამღვდელოების ექზარხოსის განკარგულებით, კლასებში უნდა დაწესებული რიცხვი იყოს მოსწავლეთა. ამ მიზეზით წელს სამეგრელო სასულიერო სასწავლებლიდგან 100—120 მოსწავლე დაითხოვეს, უფრო საერო წოდების ყმაწვილები.

ეს გარემოება აწუხებს მთელს სამეგრელოს, აწუხებს სასწავლებლის უფროსებს და მასწავლებლებს, რომელნიც თვალ-ცრემლიანნი ეთხოვებიან თავიანთ საყვარელთ და ნიჭიერ მოსწავლეთა. სამწუხაროა, მაგრამ სად არის კაცი, რომ ამ უბედურებაში დაეხმაროს სამეგრელოს?

წასულ წლებში ყოველ წლობით 80—100 ყმაწვილს დებულობდა ხოლმე ამ სასწავლებელში; წელს კი მხოლოდ 30 ყმაწვილის ვაკანსიაა.

აი მეორე—ჩვენი, სენაკელების საკუთარი სამწუხარო საქმეც ბათუმის რკინის გზა. ამ გზის გახსნამ აგვირია დავთარი. მოგვაკლდა საზოგადოების ნახვა, მოგვაკლდა კმაყოფილება, ამასთან, რა თქმა უნდა, სარგებლობაც მოგვაკლდება. ერთს-ორს ხალხის მატარებელ ვაგონს მოაკოწიალებენ საბარგო ვაგონების ბოლოს და მით გადაჰყავთ ხალხი ფოთიდგან სამტრედიამდის. საკუთარი ხალხის მატარებელი არ დაჰყავთ ეხლა ამ მანძილზე. ამ გარემოებას ისიც რომ მიუმატოთ, რომ სტანციიდგან თითქმის ნახევარი ვერსზე შორს აჩერებენ მატარებელ ვაგონებს და მით მგზავრს უძნელდება სტანციაზე მოსვლა, სწორედ, როგორც მგზავრი, ისე ჩვენც შესაბრალისნი ვართ.

## წერილი რედაქტორთან.

ბ-ნ. რედაქტორო!

ამ ოთხის წლის წინად მე შევაგროვე ქ. თელავში ხელის მოწერით ცხრამეტი მანეთი და ათი შაური საბა ორბელიანის ლექსიკონის დასაბეჭდად. ეს ფული გავუგზავნე თფილისში ზაქარია ჭიჭინაძეს გადასაცემად კუთვნილებისამებრ, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, დღევანდლამდე ეს ფული არსად სჩანს. ამისთვის ვსთხოვე ბ. ჭიჭინაძეს მომცეს პასუხი იმაზედ, თუ რატომ არ მიაქცია დანიშნულებისა-მებრ ზემოხსენებული, ჩემგან გამოგზავნილი ფული, შემდეგ იმისა მაინც, როდესაც სამჯერ მომცა აღთქმა შეესრულებინა ჩემი სურვილი?

ეს და მრავალი ამისთანა შემთხვევები მალა-უნებურად მათქმევინებენ, რომ უფრო სასარგებლო იქნებოდა, ზოგიერთა პირები, რომელთაც ვერ აუღწევიათ იმ სიმაღლემდე, რომ გაეგოთ რა თვისებები მოეთხოვება საზოგადო მოღვაწე პირს, თავიანთ ქერქში დადგებოდნენ და ფეხს არა ჰყოფდნენ, თორემ სხვასაც სახელს უტეხენ და წადილს უგარგებენ კეთილის საქმეებისას.

აი ბ. ჭიჭინაძის წყალობით რა მდგომარეობაში ჩავარდი; თელავის საზოგადოებაში, ვიცი, ბევრნი ფიქრობენ, ვითომც ის ფული, რომელიც მე მოვაგროვე ორბელიანის ლექსიკონის დასაბეჭდად და ჭიჭინაძეს გამოუგზავნე, მე ჩემს სასარგებლოდ მოვიხმარებინოს, აბა შემდეგ ამისა მეორედ რომ მოვინდომო ჩვენს საზოგადოებაში ფულის შეგროვება რომელიმე საქველ-მოქმედო

---

სებისთვის თავს, როგორც ბანკია. მაგრამ ბანკი აქ არაფერ შუაშია. მიმოხილვის ავტორმა ჩვენზედ უკეთესად უნდა იცოდეს, რომ ბანკის მტრობა არც ყრილობაზედ და არც იმის გარეთ არავის გამოუცხადებია; ოპოზიცია შესდგა, მაგრამ ოპოზიცია იყო ბანკის მმართველობის წინააღმდეგ და არა ბანკისა. ყველა ეს, ვამბობთ, ავტორმა ჩვენზედ კარგად იცის, მაგრამ ბანკი დაუხვევია ხელზედ, რადგანაც ეს უკეთესი საშუალებაა მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. ამისთანა იარაღის ხმარება ჩვენში არ არის შემოღებული და არც ახალი აბავი გახლავთ. ისე კვირა არ გავა, რომ პატკოვმა ორი მაინც არ გამოაცხადოს მამულის მოღალატედ, ვინც იმის მიმართულებაზედ რასმე წამოაყრანტალებს.

სწორედ მოგახსენოთ, რაღაცა ეშმაკმა ამტეხა და ბანკზედ ამალაპარაკა, მაგრამ შიშით ლამის სული ხორცს გაეყაროს. აი ერთს ალაგას რას ამბობს ავტორი: «ამისათვის არა ღონეს არ დავზოგავთ, რომ მათი (ბანკების) კეთილ-დღეობა დავიცვათ და ყოველსავე იერიშს განუსჯელობისას წინ ფარ-ხმლით დავუხვდეთ»! (აკი ამბობთ ხოლმე, რომ ქართველებს ფარ-ხმლის ხმარება დაგვავიწყდაო?) მოდი და ამისთანა მჭექავის სიტყვების შემდეგ ნუ შეგეშინდება? ეს ერთიც მიქარე და თუძა მეორედ კრინტი დაძრა, დიდებულო იუპიტერო, შენმა მეხმა მიწაში ჩამიტანოს! არა, თქვენი ჭირიმე, მე ჩემი თავი საქართველოს ორივე ბანკებზედ ძვირად მიღირს... ზარდა ამისა, ავტორის აზრით ბანკის საქმე ისეთი საიდუმლოებაა (აქამდე ვიცოდით შვიდი საიდუმლო: ნათლიღება, მირონ-ცხება, ქორწინება და სხვ. და ესეც მერვე საიდუმლო!) რომლის შესწავლაც არც უნივერსიტეტში შესაძლებელი და არც ცხოვრებაში. ამის გაგება მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც იუპიტერი, სადმე, ვსთქვათ, ზომბორზედ გამოეცხადება და გარდასცემსა მადლსა თვისსა! თქვენს მორჩილს მონას კი არამც თუ იუპიტერი, იმერული ჭინკაც არსად გამოსცხადებია და, აბა, მაშ ვინ ამიხსნიდა ამ ახალს საიდუმლოებას?..

ავტორი დაუფერებლად ჰკიცხავს საზოგადო კრებას სარევიზიო კამისიის დანიშვნის სურვილისათვის და ერთს ალაგას შემდეგს ამბობს: «ამის წინააღმდეგ უთხრეს (რასაკვირველია ბანკის მმართველობის წევრთ), რომ საზოგადო კრება უმთავრესი ორღანოა ბანკის მმართველობისა, იგია უმთავრესი მცველი იმ წესისა და კანონისაო, რომელზედაც დამყარებულია კრედიტიო. ცალკე კამისის არჩევა, როდესაც ზედამხედველი კამიტეტი არსებობს, კანონის დარღვევა იქნება და მაგას ეგ უმთავრესი ორღანო ბანკის მმართველობისა ნუ ინდომებსო»... სრული თანახმა ვარ, რომ საზოგადო ყრილობა არის უმთავრესი ორღანო ბანკის მმართველობისა, ის არის მცველი კანონისა, თუ უფრო კანონიერებისა, ის არის სრული უფალი და პატრონი ბანკისა. მაშ ეს როგორ მოხდა, რომ მმართველობის წევრთ, რომელნიც იმავე კრებისაგან არიან ამორჩეულნი, როგორც მისის ნების ამასრულებელი ადმინისტრატიული ორღანო, თითქმის მართლა ფარ-ხმლით წინააღმდეგობა გაუწიეს საზოგადო კრებას, რომელიც სარევიზიო კამისიას თხოულობდა; და კანონს, რომლის «უმთავრესი მცველიც საზოგადო ყრილობა» ყოფილა, თითონ გაუწიეს პროკურორის მცველობა და მეთვალ-ყურობა? აბა ერთი ამისი პასუხი გვიბრძანეთ!..

ამითი ათავებს «მიმოხილვის» პატივცემული ავტორი თავის ადვოკატურს დამასთან პროკურორის სიტყვას და, სულსაც აღარ იქცევს, მეორე უფრო ცხარე გამამტყუნებელს სიტყვას იწყობს, თუმცა ახალს დამნაშავეს რაღაც ძველს ანგარიშებს უსწორებს და ბანკთან არაფერი კავშირი არა აქვს. ეს საბრალო დამნაშავე, ვიღაც ახალ-გაზდაა, მაგრამ რომ ამ ახალ-გაზდას შეურაცხყოფა ახალ-გაზდობამ თავის თავზედ არ მიიღოს, მოხერხებული ავტორი იქვე უქასურებს ამ უკანასკნელს: ახალ-გაზდობაა ჩვენი იმედი, ჩვენი ნუგეში მომავალში, რომელზედაც უნდა ვლოცულობდეთო, მაგრამ ვიზედაც მე ვლაპარაკობ, ისეთი საძაგელი და ღვთის პირისაგან დაწყევლილი ვინმეაო, რომ ის ახალ-გაზდობის სახელს აფუჭებს და მე ვეღარ ამიტანია მისი წმინდა სახელის გაუპატიურება და ამიტომ ფარ-ხმლით ალივჭურვეო. ძალიან შემცდარი ბძანდება პატივცემული ავტორი, თუ სჯერა, რომ ეხლაც უწინდებურად ვისმე გააცურებს შაქარ მომცქერეულის ფრაზებით. დრო ორაკულობისა, დრო კალხასობისა გაფრინდა, და თუ გნებავთ ბოლოზედ მოეჭიდენით, თორემ რაც უნდა ეცადოთ თქვენ ამ დროს ვეღარ დაიბრუნებთ.

თქვენი მედიდურება და ბრმა სიაამაყე ჩვენ გულს ვერ შეგვაკლებს, ამიტომ რომ ვინც ჩვენ ამისთანებს გვაგონებს, იმათაც უარესები შეასმინეს მათზედ ბობოლებმა. მისზედ იყო ნათქომი: «ვირი წავიდა ვირი მოვიდა!.. პატის კნუტებო, საიდამ ჰკნავით, საიდამ სჩხავით? და სხვ. რა საწყაულითაც თქვენ მოგეწყოთ, იმ საწყაულით ჩვენ ვეიწყავთ, თუმცა უსამართლობა მოგდით. ჩვენ ვეცდებით, რომ თქვენი საწყაული ამიერიდამ ხმარებაში აღარ იყოს. კმარა!

სწორედ ეხლა შეველი ბაასობის ეშხში, მაგრამ გადავიხედე და გულსაკლავად შევნიშნე რომ რაც გაზეთში დანიშნული ალაგი მაქვს, იმაზედ სხვისაც გადამიხნავს და უნდა წერტილი დავსვა. მეორედაც შეგვხვდება ამ საგანზედ მსჯელობა.

დავით სოსლანი.

საქმისათვის, ვინცა დაიჯერებს ჩემს სიტყვას, ან რაცა თანაგრძნობას აღმოჰმოჩენს?

ვსთხოვ ბ. ჭიჭინაძეს ჩემგან გაგზავნილი ცხრამეტი მანეთი და ათი შაური, დაუბრკოლებლივ გადასცეს «დროების» რედაქციას, რომელსაც უმორჩილესად ვსთხოვ თავის რიგზედ გადასცეს წერა-კითხვის საზოგადოებას და მან მოიხმაროს როგორც ჰსურდეს.

მღვდელი ი. შიუკოვი.

20 ივნისი 1883 წ.

# განცხადებანი

—

ბაქოს რკინის გზის საწყობში (складъ) სტანციის ახლო, 23, 24 და 25 ამთვისას, დილის 8 საათიდამ, გაისყიდება დარჩენილიი ხის მასალა, იარაღები და სამი ფიცრულის სარაია. (3—2)

## ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25°/₀ იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხათანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—79)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კონვერტები, მორთვები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი — სულ უველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1.000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—96)

პიროგით ვიყვან ყმაწვილებს ყოველ გვარ სასწავლებლებში მოსამზადებლად. მიხაილის ქუჩა (პალონია) სახლის № 90.

(3—3) გ. ნ-ძე იოსელიანი.

# თბილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა.

თბილისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ რადგანაც ქვემოთმოხსენებულს მამულებზედ ამ თვის 20-ს დანიშნული ტორგი, თანხმად ბანკის წესდების მე-21 პარაგრაფისა, არ შესდგა, ამიტომ მეორე და უკანასკნელი ტორგი ამავე მამულებზედ მოხდება მომავალის თვის, იულისის 5-ს ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზედ, თ. ბრუზინსკის სახლში, № 13.

ლიაშენკო, სვიმონ მოსეს-ძე ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ყველა განწყობილებით, ადგილის ზომა 200 კვად. საჟ. ქ. თბილისში, მე-7 პოლიციის უჩასტ. 2 განყოფ. თავნი ვალი 5,761 მ. 9 კ. დარჩენილი 298 მ. 20 კ. სულ 6,059 მ. 29 კ.

ტერ-მიქელოვი, ასლან გაბრიელის-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ბაღი, ადგილის ზომა 500 კვად. საჟ. ქ. თბილისში, ოლგინსკი გზა-ტკეცილზედ, ჯვრის მახლობლად. თავნი ვალი 6,721 მ. 27 კ. დარჩენილი 345 მ. 90 კ. სულ 7,067 მ. 17 კ.

მაღალაშვილისა, მარიამ დიმიტრის ასული. ოთხი ორ-სართულიანი სახლი, ხუთის ერთ-სართულიანის ფლიგელით და სარდაფი 958 კვად. საჟ. ქ. თბილისში, მე-6 უჩასტ. 1 განყოფ., დამოქნის ქუჩაზედ. თავნი ვალი 46,088 მ. 72 კ. დარჩენილი 5,410 მ. 94 კ. სულ 51,499 მ. 66 კ.

შალიკოვისა, ეკატირინე პაატას ასული. სახნავი და ტყე, ზომით 130 დეს. სიღნაღის მაზრა, სოფ. ვეჯინი, ბურჯანი და ნაურტალა. თავნი ვალი 3,825 მ. 31 კ. დარჩენილი 177 მ. 36 კ. სულ 4002 მ. 67 კ.

ემინოვი, ახმედ, სულთან. სახნავი და საძოვარი ზომით 452 დეს. ტფ. მაზრაში, სახელად დამ-კაჩი. თავნი ვალი 5,953 მ. 64 კ. დარჩენილი 266 მ. 40 კ. სულ 6220 მ. 4 კ.

თარხან-მოურავოვი, ლუკა მატატეს-ძე. სახნავი და საძოვარი ალაგები ზომით 245 დეს. 204 ოთხკ. საჟ. გორის მაზრა, სოფ. წყრუღეთი, სათუხარლო და სხვ. თავნი ვალი 8,799 მ. 93 კ. დარჩენილი 397 მ. 60 კ. სულ 9,183 მ. 53 კ.

თარხან-მოურავოვი, ლუკა მატატეს-ძე. სახნავი, სათიბი, საძოვარი და ტყე 810 დეს. და 600 ოთხკ. საჟ. გორის მაზრა «სათარხნო». თავნი ვალი 5,472 მ. 9 კ. დარჩენილი 245 მ. 20 კ. სულ 5,717 მ. 29 კ.

მაღალოვისა, მარიამ დიმიტრის ასული. სახნავი, სათიბი, საძოვარი და ტყე 2867 დეს. 562 ოთხკ. საჟ. ტფილისის მაზრაში, სახელად: სადახლო, ჩოჩპან და სხვ. თავნი ვალი 48,566 მ. 99 კ. დარჩენილი 4384 მ. სულ 52,950 მ. 99 კ.

შალიკოვები, კონსტანტინ როსტომის-ძე, ნიკოლოზ, გიორგი და მიხეილ დიმიტრის-ძენი, მართა დიმიტრის ასული და სალომე პანტელეიმონის ასული. სახნავი, სათიბი, საძოვარი და ტყე ზომით 1447 დეს. 2296 ოთხკ, საჟ. გორის მაზრა, ს. სკრა. თავნი ვალი 32,232 მ. 81 კ. დარჩენილი 2069 მ. 72 კ. სულ 34,302 მ. 53 კ.

(1—1)

ინგლისის მაღაზიაში

## თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—95)



## მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სიროპები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

## შპალერები

ვერცხლის მჭედელი.

აუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით

ძმათა ტარნოპოლების

ქარხნის ადესის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ნარდათ მყიდველთ დაეთმობათ. (40—27)

სავლობუსო 

კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვრისა კალმები, უოველის ,,ხელისათვის''—25°/₀ იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები. პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, საღესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლიონკები. ტასტები, სავარძლები, სარკები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტულები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საექიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—33)

# რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.

რიონიდგან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდგან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.

Дозв. цензурою Тифлисъ, 22 Іюня 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.